ხელშეკრულება აუდიტორულ მომსახურებაზე №17/06

ქ. ონი

29 ივნისი 2016 წელი

ი/მ "ლია ცუცქირიძე" მდებარე ქ. ხაშური, კოსტავას ქ. №69-ში, შემდგომში "აუდიტორად" წოდებულმა, ერთის მხრივ და ონის მუნიციპალიტეტის გამგეობა, გამგებელი გიორგი ლობჯანიძე, შემდგომში "კლიენტად" წოდებულმა, მეორის მხრივ, დადეს ეს ხელშეკრულება:

1.ხელშეკრულების საგანი

1.1. კლიენტი ავალებს, ხოლო აუდიტორი კისრულობს ჩაატაროს აუდიტორული შემოწმება ავტომანქანებზე: „უაზ 31514", „ვაზ 21213" და მისი შედეგების მიხედვით მისცეს დასკვნა შეფასების შესახებ, აგრეთვე არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, სოფ. საკაოში განსაზღვროს წლიური საიჯარო ქირა 1 $მ^2$ -ზე (CPV-79210000);

1.2. შესამოწმებელი პერიოდი 2016 წლის 30 ივლისამდე;

2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

2.1. აუდიტორი ვალდებულია:

2.1.1. შეაფასოს დანართის მიხედვით უძრავი და მოძრავი ქონება და მისი შედეგების მიხედვით მისცეს დასკვნა;

2.1.2. დაიცვას კლიენტის ორგანიზაციაში დადგენილი წესები;

2.1.3. შემოწმების დასრულების შემდეგ წარუდგინოს კლიენტს აუდიტორული დასკვნა მხარეების მიერ გაწეული მომსახურების აქტის ხელმოწერის შემდეგ;

2.1.4. კლიენტისათვის კონსულტაციების მიცემის და კლიენტის შემოწმებისას გამოიყენოს კანონიერი მეთოდები და საშუალებები და იხელმძღვანელოს მოქმედი კანონმდებლობით;

2.1.5. არ გაახმაუროს შემოწმების პროცესში მიღებული ინფორმაცია და მონაცემები, რომლებიც წარმოადგენენ კონფიდენციალური ხასიათის ინფორმაციას ან არის კლიენტის კომერციული საიდუმლო.

2.1.6. დაამთავროს შემოწმება 2016 წლი 30 ივლისამდე;

2.2. კლიენტი ვალდებულია:

2.2.1. გადასცეს აუდიტორს ყველა აუცილებელი დოკუმენტი, რომელთა ნუსხასაც წარმოადგენს აუდიტორი წერილობით მოთხოვნაში შემოწმების დაწყებამდე;

2.2.2. გამოეყოს სამუშაო ადგილი აუდიტორის თანამშრომლებისათვის სამუშაოს ჩასატარებლად;

2.2.3. აუცილებლობის შემთხვევაში უზრუნველყოს აუდიტორის თანამშრომლისათვის განმარტებების მისაცემის დროს თავისი თანამშრომლების დასწრება;

2.2.4. დროულად აანაზღაუროს აუდიტორის მომსახურება ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

2.2.5 ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2016 წლის 1 სექტემბრამდე.

3. მომსახურების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

3.1. აუდიტორის მიერ ამ ხელშეკრულებით გაწეული მომსახურება შეადგენს 150 (ასორმოცდაათი) ლარს;

3.2. ანაზღაურება უნდა მოხდეს კლიენტის მიერ მიღება-ჩაბარების გაფორმების დღიდან 10 დღის განმავლობაში აუდიტორის ანგარიშზე ფულის სახსრების გადარიცხვის გზით;

3.3. ანგარიში უნდა იყოს წარდგენილი გაწეული მომსახურეობის აქტზე ორივე მხარის მიერ ხელის მოწერის შემდეგ.

_____

_____

4. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1. მომსახურების საფასურის დაგვიანებისათვის კლიენტი ვალდებულია გადაუხადოს აუდიტორს ჯარიმა გადასახდელი თანხის 0,1% ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის;

4.2. აუდიტორის მიზეზით კლიენტისათვის დასკვნის გადაცემის დაგვიანებისათვის აუდიტორი იხდის პირგასამტეხლოს მომსახურეობის სრული საფასურის 0,1% -ის ოდენობით;

4.3. სხვა შემთხვევეში ამ ხელშეკრულებიტ თავისი მოვალეობის შეუსრულებლობისათვის ან არასათანადო შესრულებისათვის მხარეები პასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5. დავათა გადაჭრა

5.1. დავები მხარეებს შორის უნდა გადაიჭრას მოლაპარაკების გზით. წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს.

6. დასკვნითი დებულებები

6.1. ეს ხელშეკრულება შედის ძალაში ორივე მხარის მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მხარეთა მიერ ყველა ვალდებულების სრულ შესრულებამდე;

6.2. ამ ხელშეკრულების ყველა ცვლილება და დამატება უნდა შეესაბამებოდეს იმავე ფორმით, როგორც თვით ხელშეკრულებაა და ხელმოწერილი უნდა იქნეს ორივე მხარის მიერ;

6.3. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლიარად თითეული მხარისათვის და მათ აქვთ ერთნაირი იურიდიული ძალა.

7. მხარეთა მისამართები, საბანკო რეკვიზიტები და ხელმოწერები:

ონის მუნიციპალიტეტის გამგებელი:

/გიორგი ლობჟანიძე/

ტელ.: 551 550403
ქ.ონი, დ.აღმაშენებლის მოედ. №1
ს.კ. №237978275 ანგ. № GE24NB0330100165022
სახელმწიფო ხაზინა
ბ.კ. TRESGE22

ი/მ "ლია ცუცქირიძე":

/ლია ცუცქირიძე/

ტელ.: 599 420110
ქ. ხაშური, კოსტავას ქ. №69
ს.კ.№57001007721
ანგ.:№GE18LB0711124305644000
სს ლიბერთი ბანკი
ბ.კ. LBRTGE22